ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტი

სოციალური სამუშაოს სამაგისტრო პროგრამა

მაგისტრანტი: ნათია მაზანიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი:

სოციალური მუშაკის როლი შაქრიანი დიაბეტის მართვაში

ხელმძღვანელი: შორენა საძაგლიშვილი

n_mazanishvili @yahoo.com

თბილისი

2011

აბსტრაქტი - ნაშრომში განხილულია შაქრიანი დიაბეტი როგორც მსოფლიო მაშტაბის სამედიცინო – სოციალური პრობლემა.

რა არის შაქრიანი დიაბეტი, დაავადების გართულებები, მკურნალობის მენჯმენტი, დიაბეტი როგორც ქრონიკულ დაავადება და მის მკურნალობასთან დაკავშირებლი პრობლემები. ასევე ის ფსიქო _ ემოციური პრობლემები, რომელიც ჩნდება დიაგნოზის დასმისას და რომელთა მართვაც ერთ _ ერთი აუცილებელი კომპონენტია დაავადების გართულებების თავიდან ასაცილებლად. ასევე განხილულია სოციალური მუშაკის როლი შემთხვევის მართვისას და მისი ფუნქციები მულტიდისციპლინარულ ჯგუფში.

ნაშრომის მიზანია გაარკვიოს _ შესაძლებელია თუ არა ჩაერთოს სოციალური მუშაკი შაქრიანი დიაბეტის მართვისას, მირებული დასკვა შეიძლება განზოგადდეს ნებისმიერ ქრონიკულ დაავადებასთან მიმართებაში. ასევე განხილულია კვლევის შედეგები და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები.

ლიტერატურის მიმოხილვა

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის ექსპერტების განაცხადით

- **,, შაქრიანი დიაბეტი არის პრობლემა ყველა ქვეყნის და ყველა ასაკის ადამიანის"**

დღეს შაქრიანი დიაბეტი სერიოზულ სამედიცინო – სოციალურ პრობლემას წარმოადგენს, რაც განპირობებულია მისი მაღალი გავრცელებით, დაავადებულ ადამიანთა რაოდენობის ზრდის ტენდეციით, ქრონიკული მიმდინარეობით , ავადმყოფთა მაღალი ინვალიდიზაციით და სპეციალიზირებული დახმარების შექმნის აუცილებლობით.

- ***რა არის შაქრიანი დიაბეტი***

შაქრიანი დიაბეტი ნივთიერებათა ცვლის დარღვევით მიმდინარე ენდოკრინული დაავადებაა, რომლის დროსაც ადამიანის ორგანიზმი ნორმალურად ვერ ითვისებს შაქარს, რის გამოც სისხლში მისი დონე იზრდება და ვითარდება ჰიპერგლიკემია. ქსოვილების, უჯრედების მიერ შეუთვისებელი გლუკოზა (შაქარი) რჩება სისხლში, განსაკუთრებით მაღალი კონცენტრაციისას კი